# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 331

„6“ ნოემბერი 2020 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა №29-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.003.034) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა №29-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.003.034) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 21 ოქტომბრის №20.1238.1531 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა №29-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.20.003.034) მდებარე უძრავი ქონების, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი N1

| ქალაქ თბილისი, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N29 (საკადასტრო კოდი: N01.19.20.003.034) | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| N | სახელი გვარი | პირადი ნომერი | სართული, დაკავებული ბინი ნომერი | ფაქტობრივად დაკავებული ფართი | საკადასტრო კოდი |
| 1 | გიორგი კოპაძე | 01015016680 | სართული 10 | 65.31 კვ.მ | 01.19.20.003.034.01.502 |
| 2 | გელა მამულაშვილი | 13001010736 | სართული 6, ბინა N21 | 65.87 კვ.მ | 01.19.20.003.034.01.021 |